ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №260494

ნომერი: AR162094

თარიღი : 28.06.2012

გაცემის თარიღი : 12.07.2012

გაცნობის თარიღი : 18.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , აეროპორტის გზის მიმდებარედ , ნაკვეთი 01/035 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , აეროპორტის გზაზე (ნაკვეთი 01/033); ქალაქი თბილისი , აეროპორტის მიმდებარედ , ნაკვეთი 01/041 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი , N 13 , მიმდებარედ , (ნაკვ. 02/010) ; ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , აეროპორტი , მიმდებარედ (ნაკვეთი 02/022) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომეო ესართია პ/ნ 19001025590
- ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #3

ნომენკლატურა :

- საწყობი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 47376
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 10.02.2012

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 11.07.2012
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: №259521

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასაწყობე საოფისე შენობა
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: ATU 213 32 305
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: Zoltan Temesi
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: Unger Stahlbau Ges.m.b.H

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ალექსანდრე ხარლამოვი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017009107
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404931972
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს „გებრიუდერ ვაის“

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 302.4
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 12163.5 კ2=12163.5/87138=0.1
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 652.3
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 155326.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 15.92
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.0
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 28141.4 კ3=28141.4/87138=0.3
- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 87138.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 11972.4
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 11006.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 12314.4 კ1=12314.4/87138=0.1
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 17.92
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 12314.4
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 11.5

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, კახეთის გზატკეცილზე, აეროპორტის გზაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე იუმაშევის ქ. №13–ის მიმდებარედ, შ.პ.ს. ,,გებრიუდერ ვაის"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. #001/035; #001/033; #001/041; #002/010; #002/005; #002/022) სასაწყობე შენობა ნაგებობების არქიტექტურული პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
3. დაევალოს დამკვეთს ამ ბრძანების გამოცემიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში სამსახურში წარმოადგინოს:
3.1 ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურიდან თანხმობა საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული ხე-ნარგავების მოჭრასთან დაკავშირებით;
3.2 თანხმობას შესაბამისი სამსახურიდან არხზე გადასასვლელის მოწყობის შესახებ;

3.3 კორექტირებული ფასადი ,,ა–ღ" ღერძებში ან მე–8 და მე–9 სასაწყობო შენობების არქიტექტურული პროექტი შესათანხმებლად და ნებართვის მისაღებად;
4. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 12 ივლისიდან 2013 წლის 12 მაისის ჩათვლით.
5. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და შემდეგი დოკუმენტაცია, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით:
5.1. სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
5.2 საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის #57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;
5.3 სავალდებულო საექსპერტო შეფასებების განხორციელება საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის #57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად;
5.4 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61-ე მუხლის შესაბამისად;
5.5 კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისგან, მათ შორის ფუძე-საძირკვლებისგან;

მშენებლობის ეტაპები: სასაწყობე შენობები: 1. მოსამზადებელი სამუშაოები; 2. მიწის სამუშაოების; 3. საძირკვლის მოწყობა; 4. ასაწყობი ბეტონის კოლონები; 5. სახურავის ხის ელემენტების მოწყობა; 6. ფოლადის კონსტრუქციის მოწყობა; 7. ამარზიდი კონსტრუქციების მოწყობა; 8. სამშენებლო სამუშაოების დასრულება.
საოფისე შენობა: 1. გათხრების სამუშაოები; 2. ბესმენტი; 3. მიწის სამუშაოები; 4. მიწის სართულის და პირველი სართულის მოწყობა; 5. სახურავის კონსტრუქციის მოწყობა; 6. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, შელესვა და სამღებრო სამუშაოები; 7. სამშენებლო სამუშაოების დასრულება.
გარე სამუშაოები: 1. მიწის სამუშაოები; 2. გზების, ბილიკების და შლაკბაუმის მოწყობა; 3. სამშნებლო სამუშაოების დასრულება.

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

• მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის გაცნობა, რომელიც ამ უკანასკნელმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე.

• საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.

• დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:

- აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

- აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;

- აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე; აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;

- უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.